

## პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს თავის ახლო ნათესავებთან (შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბების დედა-მამა, პაპის დედა-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში) ხანმოკლე პაემნის უფლება. აღნიშნულ პირებთან შეხვედრაზე პენიტენციურ დაწესებულების დირექტორის თანხმობა/მოტივირებული უარი ბრალდებულს/მსჯავრდებულს წერილობით ეცნობება.

### ხანმოკლე პაემანზე შესასვლელად საჭირო დოკუმენტები

**დედა** - ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის დედის პირადობის მოწმობა.

**მამა** -- ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის მამის პირადობის მოწმობა.

**მშვილებელი** - ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა ან შვილად აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტი; მშვილებლის პირადობის მოწმობა.

**ძმა** - ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის ძმის დაბადების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის ძმის პირადობის მოწმობა(ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**და** - ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის დის დაბადების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის დის პირადობის მოწმობა(ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**შვილი-** ბრალდებულის/მსჯავრდებულის შვილის დაბადების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის შვილის პირადობის მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**ნაშვილები** - ნაშვილების დაბადების მოწმობა ან შვილად აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტი; ნაშვილების პირადობის მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**ნაშვილების შვილი** - ნაშვილების დაბადების მოწმობა ან შვილად აყვანის დამადასტურებელი დოკუმენტი; ნაშვილების შვილის დაბადების მოწმობა; ნაშვილების შვილის პირადობის მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**მეუღლე** - ბრალდებულის/მსჯავრდებულის ქორწინების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის მეუღლის პირადობის მოწმობა.

**პაპა** - ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის დედის ან მამის დაბადების მოწმობა(ვისი მხრიდანაც არის პაპა); ბრალდებულის/მსჯავრდებულის პაპის პირადობის მოწმობა.

**ბებია** - ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის დედის ან მამის დაბადების მოწმობა(ვისი მხრიდანაც არის ბებია); ბრალდებულის/მსჯავრდებულის ბების პირადობის მოწმობა.



**ბეზის დედა და მამა** - ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის დედის ან მამის დაბადების მოწმობა(ვისი მხრიდანაც არის ბეზია); ბრალდებულის/მსჯავრდებულის ბეზის დაბადების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის ბეზის დედის ან მამის პირადობის მოწმობა.

**პაპის დედა და მამა** - ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის დედის ან მამის დაბადების მოწმობა(ვისი მხრიდანაც არის პაპა); ბრალდებულის/მსჯავრდებულის პაპის დაბადების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის პაპის დედის ან მამის პირადობის მოწმობა.

**დედინაცვალი** - ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის მამასთან ქორწინების რეგისტრაციის მოწმობა; დედინაცვლის პირადობის მოწმობა.

**მამინაცვალი** - ბრალდებულის/მსჯავრდებულის დაბადების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის დედასთან ქორწინების რეგისტრაციის მოწმობა; მამინაცვლის პირადობის მოწმობა.

**მეუღლის მშობელი** - ბრალდებულის/მსჯავრდებულის ქორწინების მოწმობა; ბრალდებულის/მსჯავრდებულის მეუღლის დაბადების მოწმობა; პატიმრის მეუღლის მშობლის პირადობის მოწმობა.

**გერი** - გერის დაბადების მოწმობა; გერის მშობელთან ბრალდებულის/მსჯავრდებულის ქორწინების რეგისტრაციის მოწმობა; გერის პირადობის მოწმობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**პირი რომელთანაც ბრალდებულს/მსჯავრდებულს საერთო შვილი ჰყავს** - საერთო შვილის დაბადების მოწმობა; ვიზიტორის პირადობის მოწმობა.

**პირი, რომელთანაც ბრალდებული/მსჯავრდებული ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ზოლო 1 წლის განმავლობაში** - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სხვა სახელმწიფო დაწესებულების მიერ გაცემული ან/და სანოტარო წესით დამოწმებული შესაბამისი დოკუმენტი; ვიზიტორის პირადობის მოწმობა.

## გ ა ი თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე თ !!!

- ხანმოკლე პაემანზე შესასვლელად ვიზიტორმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტის დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი
- ხანმოკლე პაემანზე შესაძლებელია შევიდეს ერთდროულად მხოლოდ 2 სრულწლოვანი ვიზიტორი, რომელთაც შეიძლება ახლდნენ ხანმოკლე პაემნის უფლების მქონე არასრულწლოვანებიც. ხანმოკლე პაემანზე მიმსვლელ პირთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს დაწესებულების დირექტორი
- 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვანმა სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა/პასპორტი
- თუ ჩამონათვალში მოხსენიებული საბუთის მფლობელს შეცვლილი აქვს სახელი ან გვარი, ვიზიტორმა უნდა წარმოადგინოს გვარის (სახელის) შეცვლის დამადასტურებელი დოკუმენტი. მაგ: გვარის (სახელის) შეცვლის მოწმობა, ქორწინების მოწმობა და ა.შ.
- ხანმოკლე პაემანი ეწყობა 1-დან 2 სთ-მდე ხანგრძლივობით